საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32

KA020108225728220

№ **03/1807**

24 / დეკემბერი / 2020 წ.

საქართველოს პარლამენტს,

საქართველოს პრეზიდენტს,

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

წარმოგიდგენთ ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად:

ა) ანგარიში საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოვიდა 84 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით შემოვიდა 1 განცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41 პრიმა მუხლის შესაბამისად, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 3 მოთხოვნა, ვინაიდან, ამავე კოდექსის 27 სეკუნდა მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე, მოთხოვნილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად.

ბ) ანგარიში მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

საანგარიშო პერიოდში სრულად დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 81 მოთხოვნა. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 მოთხოვნა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი თამარ თოდუა, რომელიც განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად.

გ) ანგარიში საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

სააგენტოს მიერ საჯარო მონაცემთა ბაზების შექმნა და პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს) და ინტერაქციის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით.

პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის საკითხები რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დ) ანგარიში საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ე) ანგარიში იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივი გაცემის შემთხვევაში, სააგენტო ეყრდნობოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41 პრიმა მუხლს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან, მოთხოვნილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად ამავე კოდექსის 27 სეკუნდა მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე.

ვ) ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივი გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

ზ) ანგარიში საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევას, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გიორგი გეჯაძე